ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2021 წლის 4 ივნისის

სხდომის ოქმი №1

ქ. ახალციხე 2021 წელი, 4 ივნისი

სხდომას ესწრებოდნენ:

ზაზა მელიქიძე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

გურამი მელიქიძე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. თენგიზ ხითარიშვილი
2. მალხაზ მანველიშვილი
3. ელენა ბეგიაშვილი
4. თამარ კაპანაძე
5. მაკა ბერიძე
6. ომარ ჯაყელი
7. შალვა ტაბატაძე
8. ციური ლაფაჩი
9. გიორგი ბუცხრიკიძე
10. ბელა ავალიშვილი
11. მერაბ ბერიძე
12. გიორგი ანდღულაძე
13. ნუგზარ თათეშვილი
14. სუსანა აკოფოვა
15. ამალია სარქისიან

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო რუხაძე
2. ნინო ლომიძე
3. ზაზა ივანიძე
4. პოღოს მაგაკიანი
5. ასთხიკ სარქისიანი
6. დოდო ბერიძე
7. ვასილ კვინცხაძე
8. გივი კაპანაძე
9. ცირა მესხიშვილი

10. ვალიკო ბალიაშვილი
11. ჭიჭიკო გელაშვილი
12. აშოთ კავალერიანი
13. მარეხი ყურმაშვილი

დღის წესრიგი

1. **ახალციხის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები;**
2. **ახალი სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები"-ს ფარგლებში შერჩეული პროექტების გაცნობა;**
3. **საბჭოს წევრების რეკომენდაციებისა და იდეების გაცნობა;**

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა მელიქიძე „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს" წევრებს მიესალმა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო. მან დეტალურად ისაუბრა მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან სიახლეებზე და მასშტაბურ პროექტებზე. მერის განმარტებით, პანდემიის პერიოდში შესაძლებელი იქნა გარკვეული თანხების მობილიზება, რაც მთლიანად მიმართულია, როგორც სოციალურ პროგრამებზე, ისე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე.

პირველ ეტაპზე, წლის დასაწყისში ახალციხის მუნიციპალიტეტს, რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონდიდან 4 373 867 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იქნა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის: სოფელი მუგარეთის სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა; სოფელ წნისში სატუმბი სადგურის და სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფელ წყრუთში საბავშვო ბაღის მშენებლობა; სოფელ სხვილისის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩაზე №124 შენობის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები(სპორტული კომპლექსი); ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №124 არსებული ორსართულიანი შენობის (ახალგაზრდული ცენტრი) რეაბილიტაცია; ქალაქ ახალციხეში ხელოვნური ტბის მიმდებარედ ტურისტულ ინფრასტრუქტურის, მისასვლელი გზისა და პარკინგის მოწყობა.

მერმა დეტალურად ისაუბრა, იმ გარდამავალ პროექტებზე, რომლებიც გასული წლის ბოლოს დაიწყო და მიმდინარე წელსაც აქტიურად გრძელდება, მათ შორის სოფელ მუგარეთის სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოებზე, სოფელ წნისში სატუმბი სადგურის და სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ასევე სოფელ წყრუთისა და სოფელ სხვილისის საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე.

აღინიშნა, რომ სოფელ მუგარეთში მთლიანად მოგვარდება წლების მანძილზე არსებული სასმელი წყლის პრობლემა. პირველ ეტაპზე სასმელი წყლის სათავე ნაგებობა და მაგისტრალური წყალსადენი მოეწყო სოფელ წინუბანში, რითაც მიმდებარე სოფლები უკვე მარაგდებიან სასმელი წყლით. სწორედ აღნიშნულ წყალსადენს შეუერთდება მუგარეთის სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენიც, რომლის მშენებლობა მიმდინარეობს ამჟამად. გარდა ამისა, სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა დასრულდა სოფელ თისელშიც.

სოფელ წნისში მიმდინარეობს სატუმბი სადგურის და სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში ახალი სატუმბი სადგური აშენდა მდინარის სიახლოვეს და ამ დროისთვის მიმდინარეობს მილსადენის მოწყობა ახალ სადგურამდე. ახალი მილსადენი, რომლის სიგრძე 421 მეტრია შეუერთდება არსებულ მილსადენს და შესაძლებელი იქნება მოსახლეობისთვის სარწყავი წყლის შეუფერხებლად მიწოდება. მერის თქმით, იგეგმება სოფელ გურკელის სარწყავი არხის რეაბილიტაციაც, რომლის განხორციელების შედეგად, შესაძლებელი იქნება გასარწყავიანდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი.

მერმა ისაუბრა, ასევე სოფელ წყრუთში და სხვილისში მიმდინარე საბავშო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე. სოფელ წყრუთში 90 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი შენდება, ხოლო სოფელ სხვილისში არსებულ საბავშვო ბაღს მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება, სადაც კეთილმოწყობილ გარემოში 60 აღსაზრდელი შეძლებს სკოლამდელი აღზრდის უნარ-ჩვევების მიღებას.

საბჭოს წევრები დეტალურად გაეცნენ ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩა №124-ში მიმდინარე მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს. აღნიშნა, რომ ე. წ. სასაზღვრო ქალაქის ტერიტორიაზე წლების მანძილზე უფუნქციოდ დარჩენილი სამხედრო ბაზა აფერხებდა ქალაქის განვითარებას, 2019 წელს, სამხარეო ადმინისტრაციის ხელშეწყობით, ტერიტორიის ნაწილი მუნიციპალიტეტს გადაეცა, რის შემდეგაც გაჩნდა ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების შესაძლებლობა. მერის განცხადებით, მუნიციპალიტეტის მიზანია, მოხდეს ამ ტერიტორიის სრული განაშენიანება.

მერმა საბჭოს წევრებს ტერიტორიაზე ამ დროისთვის მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. აღინიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობს ახალგაზრდული ცენტრის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, კაპიტალურად ეწყობა არსებული ორსართულიან შენობა, სადაც სხვადასხვა პროექტებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად ახალგაზრდებისთვის თავშეყრის სივრცეებია გათვალისწინებული.

ტერიტორიაზე, ასევე მიმდინარეობს სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია, შენობაში განთავსდება სპორტული დარბაზები და იფუნქციონირებს სხვადასხვა სახის სპორტული წრეები.

გარდა ამისა, რუსთაველის ქ. №124-ში მიმდინარეობს 180 აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობაც, პროექტი ითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტების მქონე ორ სართულიანი შენობის აშენებას და საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობას. სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს.

მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან ერთად, საბჭოს წევრები რუსთაველის ქუჩა №124-ში დაგეგმილ პროექტებსაც გაეცნენ, რომლებზეც ამ დროისთვის ტენდერებია გამოცხადებული. მერმა ისაუბრა **კულტურის სახლის** (**ყოფილი კლუბის შენობა**) აღდგენა-რეაბილიტაციაზე, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია შენობის სრული რეაბილიტაცია. შენობაში მოეწყობა სცენა და დარბაზი 300 მაყურებელზე. ასევე, გათვალისწინებულია შესაბამისი მოწყობილობები კინო ჩვენებისათვის. მერის თქმით, ამ დროისთვის ქალაქს არ აქვს თანამედროვე სტანდარტების მქონე სივრცე, სადაც გაიმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, კონცერტები და შეხვედრები. შესაბამისად, აღნიშნული პროექტის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია კულტურული ცხოვრების ხელშეწყობისათვის.

მერის განცხადებით, ასევე ტენდერია გამოცხადებული ასევე რუსთაველის ქუჩა №124-ში არსებული **სამსართულიანი შენობის** რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, სადაც განთავსდება ახალგაზრდული ცენტრი, შენობაში მოეწყობა სივრცეები სხვადასხვა სახელოვნებო წრეების ფუნქციონირებისათვის;

საბჭოს წევრები გაეცნენ ინფორმაციას ქალაქ ახალციხეში, ხელოვნური ტბის ტერიტორიაზე მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტების შესახებ. მერის განცხადებით, ამ

დროისთვის ხელოვნური ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში ეწყობა **ტურისტული ინფრასტრუქტურა, სპორტული და საბავშვო გასართობი მოედნები, ასევე მისასვლელი გზა და პარკინგი.**

ამასთანავე, ორი ტენდერია გამოცხადებული ხელოვნურ ტბაზე დამატებითი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის. კერძოდ, ესენია- **შადრევნების აღდგენა-რეაბილიტაცია და ველო და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა.** მერის განცხადებით, რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ შადრევნებს, რათა ხელოვნური ტბის ტერიტორია ადგილობრივებისა და ვიზიტორებისათვის უფრო მიმზიდველი გახდეს. პროექტში გათვალისწინებულია მწყობრიდან გამოსული ტუმბოების, მართვის ცენტრისა და დაზიანებული გამფრქვევი სისტემის აღდგენა. გარდა ამისა, უახლოეს ხანში ხელოვნური ტბის მიმდებარედ დაიწყება, 2-2 მეტრიანი ველო და საფეხმავლო ბილიკების მოწყობაც.

საბჭოს სხდომაზე ერთხმად აღინიშნა, რომ რუსთაველის ქუჩა №124-ის და ხელოვნური ტბის ტერიტორიაზე მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელების შემდეგ ქალაქს ახალი უბანი და რეკრეაციული ზონები შეემატება.

მერმა ისაუბრა ასევე, სოფელ ურაველის სასმელი წყლის შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, რომელზეც ამ დროისთვის ტენდერია გამოცხადებული; პროექტის განხორციელებით მოგვარდება სოფელში სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა.

საბჭოს წევრები გაეცნენ ქალაქ ახალციხეში სპორტული კომპლექსის მშენებლობის შესახებ ინფორმაციას. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია დიდი და მცირე საცურაო აუზების, ტრენაჟორების, ძალოსნობის, კრივის და ჭიდაობის დარბაზების მშენებლობას. ასევე, კეთილმოეწყობა კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია. სამშენებლო სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით, აზიის განვითარების ბანკი 11 404 195 ლარით აფინანსებს. მერის თქმით, სპორტ-კომპლექსის მშენებლობა ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ასევე შესაძლებელი იქნება სპორტის მრავალ სახეობაში გაიმართოს ტურნირები და ჩემპიონატები.

ამასთანავე მერმა აღნიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქალაქ ახალციხეში ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით. ისაუბრა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, ახალციხელი სპორტსმენების წარმატებებზე, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ჩემპიონატებში. მისი თქმით მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით ახალციხის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებენ სხვადასხვა სპორტული კლუბი და წრეები. მათ შორის, ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, კრივის, მკლავჭიდისა და სხვა.

საბჭოს წევრები გაეცნენ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ განსახორციელებელ სამუშაოებსაც. აღნიშნა, რომ პრიორიტეტები დასახლებების საერთო კრებებზე, ხმათა უმრავლესობით შეირჩა. პროექტების ნაწილი ამ დროისთვის მიმდინარეობს, ნაწილზე ტენდერებია გამოცხადებული, გარკვეულ ნაწილთან დაკავშირებით კი მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

ზაზა მელიქიძემ ისაუბრა ასევე, ქალაქ ახალციხეში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ მასშტაბურ პროექტზე, გარე განათებების სისტემების მოწყობაზე, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე და ქალაქ ვალეში რეაბილიტირებული ჯანდაცვის ცენტრის ინვენტარით აღჭურვაზე.

სამოქალაქო საბჭოს წევრები გაეცნენ მუნიციპალიტეტში განხორციელებულ გამწვანების ღონისძიებებს. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ქალაქის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასთან ერთად, მნიშვნელოვანია გამწვანების ღონისძიებებიც, რადგან ახალი ნარგავები კიდევ უფრო გააუმჯობესებს ქალაქის იერ-სახეს და მიმზიდველს გახდის მას. მერის თქმით, მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ქალაქის სხვადასხვა უბნებში, ხელოვნური ტბის

მიმდებარე ტერიტორიაზე და საბავშვო ბაღების ეზოებში სხვადასხვა ჯიშის 705 ძირი ხე-მცენარე დაირგო.

ზაზა მელიქიძემ, ასევე დეტალურად ისაუბრა, ახალი სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში შერჩეულ პრიორიტეტებზე. მისი თქმით, რეაბილიტაცია ჩაუტარდება თამარაშვილის მოედანს, კოსტავას, კეცხოველის, ნათენაძის, დიდიმამიშვილის ქუჩებს და ქალაქის ცენტრალურ პარკს. ქალაქის ცენტრალური ნაწილის კეთილმოწყობასთან ერთად, აღნისნული პროგრამის ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება ასევე, ახალციხის ციხეზე და ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებმა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები მოიწონეს, გამოთქვეს მოსაზრებები და მერს თავიანთი იდეები გააცნეს.

თამარ კაპანაძემ ისაუბრა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) პროექტის ფარგლებში გამარჯვებულ პროექტზე, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი სკოლის მიმდებარედ სკვერის მოწყობას ითვალისწინებს და მერს ტერიტორიის მოსწორების მიზნით შესაბამისი ტექნიკით დახმარება სთხოვა.

საბჭოს წევრმა **ამალია სარქისიანმა** დადებითად შეაფასა მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები და აღნიშნულ პროექტებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე გაამახვილა ყურადღება. მერის თქმით ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ძირითადად ადგილობრივი მუშახელი საქმდება, რაც უმეტესწილად საპროექტო დოკუმენტაციაშიც არის გათვალისწინებული. მერის თქმით ნებისმიერი ჩამოსული კომპანიის ინტერესშია, რომ სამშენებლო სამუშაოებზე ადგილობრივი მუშახელი დაასაქმოს.

საბჭოს წევრმა **ბელა ავალიშვილმა** კოლეჯ „ოპიზარში“ ამჯამად არსებული სასწავლო პროგრამებზე, საჭიროების შემთხვევაში ახალი პროგრამების დანერგვაზე და ამ მიმართულებით ერთობლივ მუშაობაზე ისაუბრა.

საბჭოს წევრმა **მერაბ ბერიძემ** დადებითად შეაფასა მიმდინარე პროექტები და ისაუბრა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მოწყობის მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე.

შალვა ტაბატაძემ ქალაქში საგზაო მონიშვნებისა და ქვეითთა გადასასვლელების მოწესრიგებაზე, ასევე ასპინძის ქუჩაზე, მე-2 საჯარო სკოლის მიმდებარედ გათიშული გარე განათების პრობლემაზე ისაუბრა. დადებითად შეაფასა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით გამოცემული წიგნები- ანზორ თამარაშვილის „მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, მერაბ ბერიძის „ვალის ტოპონიმია“ და მიხეილ იაძის „ფერწერა“ და საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის მათ ხელმისაწვდომობაზე გაამახვილა ყურადღება. მან, მიმდინარე წელს დაგეგმილი მე-6 თეატრალურ ფესტივალის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია საბჭოს წევრებს და თეატრალური სპექტაკლების ანონსებისთვის ქალაქის სხვადასხვა უბნებში ადგილების გამოყოფასთან დაკავშირებით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს. ასევე ისაუბრა მრჩეველთა საბჭოს ფუნქციების მნიშვნელობაზე და წევრების გააქტიურებაზე.

ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დადებითად შეაფასა **ციური ლაფაჩმა** და დაინტერესდა მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაციის საკითხით. მისი თქმით აღნიშნული შენობა წარმოადგენს უნიკალურ ურბანულ და არქიტექტურულ მემკვიდრეობას, რომლის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია ქალაქისთვის. მერის პირველი მოადგილის გურამ მელიქიძის თქმით, მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციისათვის პროექტი მზად არის და მერიის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს ფინანსური რესურსის მოძიება.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნინო რუხაძე

2 თენგიზ ხითარიშვილი

3 მალხაზ მანველიშვილი

4 ნინო ლომიძე

5 ელენა ბეგიაშვილი

6 თამარ კაპანაძე

7 ზაზა ივანიძე

8 პოღოს მაგაკიანი

9 ასთხიკ სარქისიანი

10 დოდო ბერიძე

11 მაკა ბერიძე

12 ვასილ კვინცხაძე

13 ომარ ჯაყელი

14 შალვა ტაბატაძე

15 ციური ლაფაჩი

16 გიორგი ბუცხრიკიძე

17 ბელა ავალიშვილი

18 მერაბ ბერიძე

19 გივი კაპანაძე _____

20 გიორგი ანდღულაძე _____

21 ცირა მესხიშვილი _____

22 ნუგზარ თათეშვილი _____

23 ვალიკო ბალიაშვილი _____

24 ჭიჭიკო გელაშვილი _____

25 სუსანა აკოფოვა _____

26 ამალია სარქისიან _____

27 აშოთ კავალერიან _____

28 მარეხი ყურმაშვილი _____